გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგია

ანგარიში მომზადებულია პროექტის "გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში" ფარგლებში

თბილისი

2016

პროექტი - ,,გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ - ინიცირებულ იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ. პროექტს ახორციელებს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას, ინფორმაციის გაცვლისა და მართვის ინოვაციური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობის გზით. გარემოსდაცვითი ინფორმაციის/ცოდნის მართვის სისტემა ხელს შეუწყობს, როგორც ეროვნული მიზნების მიღწევას, ისე საერთაშორისო (რიოს სამი კონვენცია) ვალდებულებების შესრულებას.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს გაერო-ს განვითარების პროგრამის შეხედულებათა ამსახველად.

სარჩევი

შესავალი

მეთოდოლოგია

ვერტიკალური კომუნიკაცია

ჰორიზონტალური კომუნიკაცია

ფონური სიტუაცია

საკომუნიკაციო სტრატეგიის მიზანი

საკომუნიკაციო სტრატეგიის ამოცანა

სამიზნე ჯგუფები

SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები

სუსტი მხარეები

შესაძლებლობები

საფრთხეები

PEST - ანალიზი

პოლიტიკური

ეკონომიკური

სოციალური

ტექნოლოგიური

სამოქმედო გეგმა

ხედვა

ტაქტიკა

საკომუნიკაციო არხები

საკომუნიკაციო მესიჯები

ღონისძიებები

საკომუნიკაციო მატრიცა

რეკომენდაციები

საკომუნიკაციო კრიზისები და მათი მართვა

შეფასების კრიტერიუმები

დანართი #1 – შესწავლილი მასალის ჩამონათვალი

- **შესავალი**

დაგეგმილი პროექტი: ‘გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში’ მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებების შესრულებას მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების(MEAs) შესაბამისად. უფრო კონკრეტულად, პროექტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ მიმართავს შემდეგ კონვენციებს: რიოს 3 კონვენცია, გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ. ორჰუსის კონვენცია. პროექტი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოში ეფექტიანი ეროვნული გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის განსავითარებლად.

პროექტის თანახმად დაინერგება საუკეთესო პრაქტიკა და ინოვაციური მიდგომები ეროვნული გარემოსდაცვითი ინფორმაციების მართვის განვითარების კუთხით რიოს სამი კონვენციების შესაბამისად , ასევე გააუმჯობესდება მონიტორინგი და ანგარიშგების შესაძლებლობა გლობალურ ეკოლოგიური ინდიკატორებზე როგორც ეს განსაზღვრულია რიოს სამი კონვენციების შესაბამისად.

პროექტის ფარგლებში დაინერგება მძლავრი საინფორმაციო სისტემა, რომელიც იქნება ღირებული ინსტრუმენტი გლობალურ და ეროვნულ დონეზე თანაბრად განვითარდეს ინდივიდუალური და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების მონიტორინგი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა (MOE) და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის (EIEC) მიერ, გარემოზე ზემოქმედების და გარემოსდაცვითი ტენდენციების მართვის კუთხით.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ინფორმაციის/ცოდნის მართვის სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგიას , რომელშიც განხილული იქნება თუ როგორ უნდა მოხდეს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ეფექტური ღონისძებებისა და

არხების საშუალებით სისტემის დანერგვისა და შემდგომი გამოყენების/ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

- **მეთოდოლოგია:**

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ეფექტური მართვისათვის უნდა შემუშავდეს ურთიერთქმედების და თანამშრომლობის მდგრადი და თანმიმდევრული მექანიზმები -საკომუნიკაციო სტრატეგია დაინტერესებულ მხარეებს შორის შესაძლებელს გახდის ეფექტურ თანამშრომლობას, ინფორმაციის შეგროვებას და მონაცემების გაზიარების მექანიზმებს , რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას.

პროექტის წარმატებულად განხორციელებისთვის და მაქსიმალური ჩართულობის მიღწევის მიზნით, აუცილებელია შედგეს თანამშრომლობა პროექტში ჩართულ ყველა სამთავრობო უწყებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ პროექტში და/ან ფლობენ მათი კომპეტენციის ფარგლებში მოქცეულ მონაცემებს, რაც უნდა იქნას გაზიარებული საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.

ვერტიკალური და ჰორიზონტალური კომუნიკაცია

საკომუნიკაციო სტრატეგიის აღსრულებისთვის გამოვიყენებთ ვერტიკალურ უწყებათაშორისი კომუნიკაციას იმ სამიზნე სეგმენტს შორის (სამთავრობო უწყებები), რომელბიც ქმიან და მოიხმარენ გარემოსდაცვით მონაცემებსა და ინფორმაციას, რათა ვუზრუნველყოთ ინფორმაციის მართვის პროცესის უწყვეტობა და სისტემის გამართული ფუნქციონირება. ხოლო ჰორიზონტალურ კომუნიკაციას - სხვა დანარჩენ დაინეტერესებულ ერთეულებს შორის (NGO, აკადემიური სექტორი

და მოქალაქეები, მედია) საინფორმაციო სისტემის მნიშვნელობის შესახებ ცნობადობის გაზრდისთვის.

- **ფონური სიტუაცია**

საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებისას გამოყენებული ნაშრომები:

- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ინტეგრაციისთვის სახელმწიფო უწყებების მანდატების (როლი და პასუხისმგებლობა) ჰარმონიზება
- გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ინტეგრაციისთვის სახელმწიფო უწყებების მანდატების (როლი და პასუხისმგებლობა) ჰარმონიზება
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ გაეროს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ინტეგრაციისთვის სახელმწიფო უწყებების მანდატების (როლი და პასუხისმგებლობა) ჰარმონიზება
- რიოს კონვენციების განხორციელების და ანგარიშგებისთვის საჭირო გარემოსდაცვითი მონაცემების მართვის და მონიტორინგის პროცესში არსებული უწყებათშორისი თანამშრომლობის გამოწვევების და ბარიერების ინსტიტუციური ანალიზი
- გარემოს საინფორმაციო სისტემის/ცოდნის მართვის სისტემის კონცეფცია
- გარემოს საინფორმაციო სისტემის/ცოდნის მართვის სისტემის მასშტაბირებადი ინფრასტრუქტურა
- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციის ანგარიშის მოსამზადებლად და მისი მონიტორინგისთვის საჭირო მონაცემთა ბაზების ანალიზი

- ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგებისათვის საჭირო მონაცემების ანალიზი
- მონაცემები და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა გაუდაბნოების კონვეციის განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგებისთვის[U1] [U2]
- ბიომრავალფეროვნების ზემოქმედებისა და ტენდენციების მონიტორინგის ეროვნული საჭიროებების შეფასება და საჭიროებების შეფასების საფუძველზე მომზადებული ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა
- მიწაზე ზემოქმედების და მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების ტენდენციების მონიტორინგის ეროვნული საჭიროებების შესაფება და საჭიროებების შეფასების საფუძველზე მომზადებული ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა
- კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ტენდენციების მონიტორინგის ეროვნული საჭიროებების შეფასება და საჭიროებების შეფასების საფუძველზე მომზადებული ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა

➢ **საინფორმაციო სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგიის მიზანი:**

საკომუნიკაციო სტრატეგია საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესის ინსტიტუციონალიზაციისა და სისტემური მიდგომების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი მექანიზმია. დოკუმენტი აერთიანებს საკომუნიკაციო საშუალებების, არხებისა და ინსტრუმენტების მრავალფეროვან ნაკრებს, რომელიც აუცილებელია განსხვავებული სამიზნე ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის.

გრძელვადიანი საკომუნიკაციო სტრატეგია მოიცავს:

მიზნობრივი ჯგუფების იდენტიფიცირებას შემდგომი საქმიანობის დაგეგმვის მიზნით, დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების გამართვას მიმდინარე საქმიანობის და სამომავლო გეგმების გაცნობის მიზნით, თემატური ტრენინგების

გამართვას, საინფორმაციო მასალების მომზადებასა და გავრცელებას. საკომუნიკაციო სტრატეგიის მიზანია სამიზნე ჯგუფებთან ფართო დიალოგის წარმოება, რაც თავის მხრივ შესაძლებელი გახდება ორმხრივი, განუწყვეტელი კომუნიკაციის წარმართვის, საზოგადოების სხვადასხვა ფენებისათვის აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის მიწოდების გზით.

შემუშავებული დოკუმენტი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1. საკომუნიკაციო მექანიზმის შემუშავება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებისთვის (სამთავრობო, არასამთავრობო, აკადემია, კერძო სექტორი, მომხმარებელი) ინფორმაციის ეფექტური მართვისათვის რომელიც მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას , მონიტორინგს ანალიზს და მოხმარებას . (ინფორმაციის ნაკადების უწყებათაშორისო ცვლა)
2. საკომუნიკაციო სტრატეგიის პროცედურების სტრუქტურირება და განვითარება მონაცემების მართვის, გაზიარების და მათი გამოყენების მიზნით დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
3. ინფორმაციის მოხმარების ეტაპზე ინფორმაციის წვდომის დონეების განსაზღვრას (ღია და დახურულ სისტემების გამიჯვნა)

ა)მონაცემთა და ინფორმაციის წყაროების იდენტიფიცირება, რომლებიც არ არის ღია

ბ) ინფორმაციაზე და მონაცემებზე წვდომის დონეების განსაზღვრა სხვადასხვა დაინტერესებული მხარისათვის.

4. დაინტერესებული ჯგუფების -ინფორმაციის შემგროვებლების მაქსიმალური ჩართულობა და სისტემის მუშაობის პრინციპების სწავლება, მისი შემგომი ეფექტური მართვისთვის.
5. მონაცემთა იდენტიფიცირება რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისათვის / დაინტერესებული პირებისთვის ინტერნეტის მეშვეობით

6. ფართო საზოგადოების (მოქალაქეებისთვის) ცნობიერების ამაღლება მონაცემების გამოყენების და სისტემის მუშაობის შესახებ.
7. სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის ტრენინგის სტრატეგიის შემუშავება შესაბამის საკითხებზეა: როგორ გამოვიყენოთ, შევაგროვოთ, ანალიზის გავუკეთოთ , გავუზიაროთ ან შევინახოთ მონაცემები.

➢ **საკომუნიკაციო სტრატეგიის ამოცანა:**

- საკომუნიკაციო სტრატეგიის მიზნიდან გამომდინარე ძირითადი სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა, რომელიც დამყარებულია სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების საჭიროებებზე (სამთავრობო, არასამთავრობო სტრუქტურები, აკადემია, ადგილობრივი თემები …);
- საინფორმაციო სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა;
- საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელებისთვის აქტივობების განსაზღვრა;
- სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში აქტივობებისთვის კონკრეტული საკომუნიკაციო არხების განსაზღვრა სხვადასხვა დაინტერესეული მხარისთვის;
- ყოველი სამიზნე სეგმენტისთვის კონკრეტული გზავნილების შემუშავება;
- საკომუნიკაციო სტრატეგიის მონიტორინგის და შეფასების სისტემის შემუშავება;
- საკომუნიკაციო სტრატეგიის დროში განსაზღვრა;

➢ **სამიზნე სეგმენტი:**

საკომუნიკაციო სტრატეგიის ეფექტური განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა შემდეგ დაინტერესებულ მხარეებთან:

- საჯარო უწყებები და ადგილობრივი თვითმართველობები , რომლებიც პროექტში მოცემული კვლევების მიხედვით წარმოადგენენ მონაცემის/ინფორმაციის შექმნისა და მიღების მნიშვნელოვან წყაროებს.
- არასამთავრობო სექტორი, რომელიც აგროვებს და იზიარებს გარემოსდაცვით ინფორმაციას.
- საგანმანათლებლო დაწესებულებები და აკადემიურ წრეები- სამეცნიერო და კვლევითი ინფორმაციის მიღება/გაზიარებისთვის.
- კერძო სექტორი (ბიზნესი, მეწარმეები) რომელიც დიდ გავლენას ახდენს გარემოს მდგომარეობაზე;
- მოქალაქეები, მათი გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისთვის რათა ორჰუსის კონვენციის შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩრთულობა.
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან - ქვეყანაში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის შესახებ სათანადო ინფორმირებისთვის.
- მედიას,როგორც მასობრივ საკომუნიკაციო ეფექტურ მექანიზმს, შესაბამისად მედიის წარმომადგენლების ინფორმირებულება სისტემის საერთაშორისო მნიშვნელობისა და მუშაობის შესახებ სავალდებულო და გადამწყვეტია.

თითოეული დაინტერესებული მხარე შეძლებს საკუთარი საქმიანობის მნიშვნელოვნად გამარტივებას. ინტერნეტზე დამყარებული სერვისები გააადვილებს და უფრო ეფექტურს გახდის მონაცემებზე წვდომას. შესაბამისად მნიშვნელოვანია საბოლოო მომხმარებლებთან გამართული კომუნიკაცია.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის სისტემასთან დაკავშირებული სამთავრობო სტრუქტურები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები:

- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო:
  - ❑ ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი
  - ❑ მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახური
  - ❑ გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
  - ❑ კლიმატის ცვლილების სამსახური

- ❑ წყლის რესურსების მართვის სამსახური
- ❑ ბუნებრივი და ანთროპოგენული საფრთხეების მართვის სამსახური
- ❑ გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი
- ❑ ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური
- ❑ ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახური
- ❑ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
- ❑ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
- ❑ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
- ❑ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
- ❑ ს.ს.დ. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახური

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ენერგეტიკის სამინისტრო
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- შინაგან საქმეთა სამინისტრო
- საგანგებო სიტუაციათა მართვის ცენტრი?
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- კულტურის სამინისტრო (ძეგლთადაცვა)
- ავტონომიური რესპუბლიკების დონეზე შესაბამისი სამინისტროები.
- ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტები.
- საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომისიები;
- საქართველოს სტატისტიკის სამსახური;
- ფინანსთა სამინისტრო
- იუსტიციის სამინისტრო

სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები:

- ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ)
- საქართველოს სახელმწიფო აგრალური უნივერსიტეტი
- სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
- თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი
- საქართველოს აგრალური უნივერსიტეტის ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი
- თსუ მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი.
- სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
- მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტი _ აგრარული უნივერსიტეტი
- იულონ ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი
- წყალთა მეურნეობის და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი

არასამთავრობო სექტორი:

- ენერგოეფექტურობის ცენტრი-საქართველო
- WEG
- მდგრადი განვითარების ცენტრი რემისია
- ელკანა
- საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, დედამიწის მეგობრები
- CENN
- მწვანე ალტერნატივა

ასევე განახლებად ენერგიებზე (მზე-„მზის სახლი“, ქარი-„ქარენერგი“, გეოთერმია-„საქართველოს გეოთერმული ასოციაცია“, ბიომასა „ბიოენერგია“) მომუშავე არასამთავრობო სექტორი და ტრანსპორტის სექტორში მომუშავე არასამთავრობო სექტორი.

ძირითადი დონორები:

- აშშ განვითარების სააგენტო (USAID)
- ევროკავშირის პარტნიორობის პროგრამები (EU)
- გერმანიის საერთაშორისო დახმარება (GIZ)
- ავსტრიის საერთაშორისო დახმარება (ADA)
- გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF)
- გაეროს განვითარების ფონდი (UNDP)
- გაეროს განვითარების გარემოსდაცვით პროგრამა(UNEP)

ფონურ სიტუაციაზე დაყრდნობით, სისტემის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე შემუშავდა გარეომსდაცვითი ინფორმაციის/ცოდნის მართვის სისტემის SWOT- ანალიზი და PEST ანალიზი

SWOT- ანალიზი

S-ძლიერი მხარეები

- გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივა და გარემოსდაცვითი ინფორმაციების და განათლების ცენტრის სრული მხარდაჭერა
- სისტემის მომხმარებელთა შესაძლებლობის გაძლიერებისთვის და კომუნიკაციისთვის განსაზღვრული კონკრეტული ბიუჯეტი ;
- საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა;
- სისტემის მნიშვნელობის მაღალი ხარისხი როგორც ეროვნული ასევე საერთაშორისო საჭიროებებისთივის;

- საინფორმაციო სისტემა ადაპტირებადი იქნება ახალ ტენდეციებთან და მოთხოვნებთან.

W-სუსტი მხარეები

- სისტემის მნიშვნელობის შესახებ ცნობადობის დაბალი დონე როგორც შიდა ისე გარე აუდიტორიაში;
- სისტემის კონცეფციისა და შესაძლებლობების არასწორი ან არასრული აღქმა;
- შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობა;
- სამუშაო აღწერილობებში შესაბამისი კომპეტენციის არარსებობა;
- მაღალი რგოლის მენეჯერების ჩართულობის დაბალი ხარისხი;
- კადრების სიმცირე;
- შესაბამისი ტექნიკური ბაზის არარსებობა;
- მსგავსი ტიპის სისტემასთან მუშაობის გამოცდილების არქონა;
- უწყებათაშორისი არასთანადო კომუნიკაცია;
- არასაკმარისი ინფორმაცია სტრუქტურებში არსებული მონაცემების/ ინფორმაციის შესახებ;
- მონაცემების არარსებობა სხვადასხვა თემატური მიმართულებით.

O-შესაძლებლობები

- პროექტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წარმოჩენა;
- სამინისტროთაშორისი სადამკვირვებლო კომისიის შექმნა;
- საკანონმდებლო რეგულაციების შექმნა;
- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა;
- პორტალის პრომოუშენი ინტერნეტით;
- პიარში დარგობრივი სპეციფიკის შემოტანა;
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შესაძებლობების გაძლიერების გზით;
- პროფესიონალი ტრენერ/კონსულტანტების ჩართულობა.

T-საფრთხეები

- პროექტის ამუშავება (უწყებების დატვირთვის ზრდა და შესაბამისად ნეგატიური WOM);
- სუსტი შიდა კომუნიკაცია უწყებებს და მათ სსიპ-ებს შორის;
- მენეჯმენტის და კადრების ცვლილება;

- პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი;
- არასკმარისი მონაცემები სისტემის ფუნქციონირებისთვის;

სისტემის რთული კონცეფციისა და სტრუქტურის რთულად ათვისება მხარეების მიერ.

PEST

P- პოლიტიკური

- საერთაშორისო ვალდებულებების უგულებელყოფა;
- პოლიტიკური კურსის ცვლილება;
- ეროვნული საჭიროებების შეცვლა;

E- ეკონომიკური

- ეკონომიკური კრიზისი;
- ბიუჯეტის შემცირება;
- დონორული დახმარების არარსებობა;

S - სოციალური

- გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ საზოგადოების დაბალი ინტერესი;
- საზოგადოების დაბალი სოციალური განვითარება/ განათლების დაბალი დონე ახალ ტექნოლოგიებთან მიმართებაში;

T - ტექნოლოგიური

- მაღალი ტექნოლლგიების სწრაფი განვითარება და ყველა უწყების ტექნიკური შესაძლებლობის სისტემის კონცეფციასთან შესაბამისობაში მოსვლა;
- სატელიტიდან ინფორმაციის მიღების შესაძლებობა უწყვეტ რეჟიმში;
- საზოგადოების მიერ მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება;
- სისტემის ხანდაზმულობა / ახალი განვითარებული მიდგომების დანერგვა.

სამოქმედო გეგმა

ხედვა

სამოქმედო გეგმის აღსრულებისას საკომუნიკაციო აქტივობაში უნდა ჩანდეს, რომ პროექტი სახელმწიფო მნიშვნელობისაა და ემსახურება ქვეყნის და საზოგადოების მდგრად განვითარებას, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს რომ სისტემა:

1. დაეხმარება საქართველოს მთავრობას გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკის დაგეგმვა/ფორმირების პროცესში;
2. უზრუნველყოფს სანდო გარემოსდაცვით მონაცემებზე/ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას;
3. დაზოგავს ადამიანურ და დროის რესურსს;
4. შესაბამისობაში მოდის ეროვნულ საჭიროებებთან და ხელს უწყობს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას:

ასევე მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას სისტემის ინოვაციურობას საქართველოში და თანამედროვე ტექნოლოგიების ფართო გამოყენებას მის ფუნქციონი

რებაში.

შესაბამისად სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგიის პოზიციონირების შემადგენელი კომპონენტებია:

- მოქნილობა/სისწრაფე/ეფექტურობა
- განვითარებაზე ორიენტირებულობულობა
- სანდოობა
- ინოვაციურობა

საკომუნიკაციო მიზნებიდან და ამოცანებიდან ასევე განსაზღვრული სამიზნე სეგმენტიდან გამომდინარე შემუშავდა დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემის ფართო ცნობადობას ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის და მის მიმართ მაღალი ნდობის ფორმირებას რომელიც მიიღწევა: სამიზნე სეგმენტის ინფორმირებით, განათლებით და ჩართულობით.

სტრატეგიის განხორციელების შედეგად, რომელიც იქნება დროში გაწერილი და სპეციფიკური ყველა სამიზნე სეგმენტისთივს. უნდა გაიზარდოს სისტემის მიმართ

ლოიალურობის მაჩვენებელი და ის უნდა გახდეს სანდო პროდუქტი; უნდა მოხდეს რაც შეიძლება მეტი ადამიანის ინფორმირება და ჩართულობა,

<u>ტაქტიკა</u>

აქტივობები მოიცავს ოთხ ძირითად მიმართულებას:

- სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი უწყებები და პერსონალი (ინფორმაციის მომწოდებლები და მომხმარებლები)
- სისტემის მომხმარებლები
- საზოგადოება
- მედია

სამიზნე სეგმენტი	მესიჯი/საკომუნიკაციო გზავნილი	საკომუნიკაციო არხი	აქტივობა
სახელმწიფო სექტორი- ინფორმაციის მომხმარებლები	• საინფორმაციო სისტემა სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტია, რომლის განხორციელება ეროვნულ ინტერესებს ემსახურება.	• პირდაპირი კომუნიკაცია • საინფორმაციო მასალები; • ელ. ფოსტა; • ვებგვერდი;	• სემინარები /ვორქშოპები • ტრენინგები • ნიუსლეთერები • საინფორმაციო ბუკლეტები • ტუტორიალები • • მობილური აპლიკაცია
სახელმწიფო სექტორი- ინფორმაციის მომწოდებლები	• საინფორმაციო სისტემა სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტია, რომლის	• პირდაპირი კომუნიკაცია • საინფორმაციო მასალები; • ელ. ფოსტა; • ვებგვერდი;	• შეხვედრები დარგის სპეციალისტებთან/ექსპერტებთან • სემინარები

	განხორციელება ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. ● თქვენი ჩართულობა მნიშვნელოვანია ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისთვის	● სოციალური ქსელები;	/ვორქშოპები ● ნიუსლეთერები ● საინფორმაციო ბუკლეტები ● ტუტორიალები ● სამუშაო ჯგუფი სოციალურ ქსელში ● მობილური აპლიკაცია
არასათავრობო სექტორი, საგანმანათლებლო დაწესებულებები და აკადემიური წრეები	● საინფორმაციო სისტემა სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტია, რომლის განხორციელება ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. ● თქვენი ჩართულობა მნიშვნელოვანია ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისთვის ● მონიტორინგის შესაძლებლობა გარემოს მდგომარეობაზე	● პირდაპირი კომუნიკაცია; ● ელ. ფოსტა; ● ვებგვერდი; ● სოციალური ქსელები;	● შეხვედრები; ● დისკუსიები; ● სპეციალური ჯგუფები სოც.ქსელში ● მობილური აპლიკაცია

	ქვეყნის მასშტაბით ● ინფორმაციის სრული ხელმისაწვდომობა ადამიანური და დროის რესურსის დაზოგვით.		
საერთაშორისო ორგანიზაციები და დიპლომატიური კორპუსი	● საინფორმაციო სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს ქვეყნის მიერ საერთაშორისო ვალდებულებებების შესრულებას	● პირდაპირი კომუნიკაცია; ● საინფორმაციო მასალები; ● ელ. ფოსტა;	● კონფერენციები; ● ნიუსლეთერი; ● მობილური აპლიკაცია
საზოგადოება/რიგითი მოქალაქეები/კერძო სექტორი	● ინოვაციური საინფორმაცო სისტემის დანერგვა შესაძლებელს გახდის დაიზოგოს სახელმწიფოს რესურსები: ფინანსური, დროითი თუ ადამიანური ● საინფორმაციო სისტემა მნიშვნელოვნად გაადვილებს ბიზნესისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას	● პირდაპირი კომუნიკაცია ● საინფორმაციო მასალები; ● ვებგვერდი; ● მასკომუნიკაცია ● სოციალური ქსელები;	● ვორქშოპები ● საინფორმაციო ბუკლეტები ● ტუტორიალები ● ტელევიზია/რადიო ● fb,youtube აქტივობები ● მობილური აპლიკაცია

მედია	● ინოვაციური საინფორმაცო სისტემის დანერგვა შესაძლებელს გახდის დაიზოგოს სახელმწიფოს რესურსები: ფინანსური, დროითი თუ ადამიანური. ● საინფორმაციო სისტემა იქნება საშუალება სწრაფად და ეფექტურად შესრულდეს საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები ● საინფორმაციო სისტემა ხელმისაწვდომს გახდის გარემოსდაცვით ინფორმაციას ადამიანური და დროითი რესურსის დაზოგვით.	● პირდაპირი კომუნიკაცია;	● პრესკონფერენცია; ● კონფერენცია; ● ნიუსლეთერი

● **სემინარები/ვორქშოპები** სემინარების/ვორქშოპების მიზანია კონკრეტული სამიზნე სეგმენტისთვის სწავლება საიფორმაციო სისტემის , მისი მუშაობის პრინციპების, უპირატესობების და სახელმწიფო მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისად ცნობადობი გაზრდა.

- **ტრენინგები** - სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია თემატური ტრენინგების გამართვა, როგორც ტექნიკური ასევე შინაარსობრივი შესაძლებლობების გასაცნობად, ტრენინგი იქნება რამდენიმე ტიპის, მომხმარებლებისთვის, სისტემის ტექნიკური და ანალიტიკური ჯგუფისთვის, ინფორმაციის მომწოდებლებისთვის, მათთვის ვინც ინფორმაციას აგროვებს.
- **ნიუსლეთერები** - ინფორმაციის გავრცელების ერთერთი კარგი შესაძლებლობაა ნიუსლეტერების გამოყენება ეფექტურია პროექტის მიმდინარეობის პერიოდში გაწულ საქმიანობისა და ღონისძიებების თავმოსაყრელად და საზოგადოებისთვის გასცნობად. ამ ტიპის მასალები შესაძლოა გავავრცელოთ როგორც ნაბეჭდი სახით შეხვედრებისა და დისკუსიების დროს, ასევე ონლაინ არხების საშუალებით, ვებგვერდის დახმრებით, ელ. ფოსტით.

- **საინფორმაციო ბუკლეტები** - საინფორმაციო სისტემას რთული და მასშტაბური ინფრასტურქტურის გამო რთული აღსაქმელია სამიზნე სეგმენტისთვის, ტრენინგებისა და სემინარების პარალელურად მნიშვნელოვანია გავრცელდეს დამხმარე საინფორმაციო მასალა, რომელიც იქნება მოკლე და გასაგები ენით დაწერილი და მუდმივად შეახსენებს მომხმარებელს სისტემის შესაძლებლობების შესახებ. საინფორმაციო ბუკლეტები სასურველია გავრცელდეს როგორც თვითონ სისტემის კონცეფციის, ასევე სისტემისთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვალდებულებების (რიოს სამი კონვენცია) შესახებ.

- **ტუტორიალები**- მოკლე ვიდეო გაკვეთილები არის გავრცელებული და ეფექტური საშუალება სწავლებისთვის, იგი წარმადგენს ტრენინგების მოკლე ვერსიას , რომლის საშუალებით ხდება ინსტრუქციების მარტივ და გასაგებ ენაზე მიწოდება სამიზნე სეგმენტისთვის. შესაძლებელია გაკეთდეს რამოდენიმე ტუტორიალი სხვადასხვა სამიზნე სეგმენტისთვის განსხვავებული ამოცანით , შინაარსით და ვიზუალით . ტუტორიალები შესაძლებელია აიტვირთოს სისტემის youtube -არხზე, სოციალურ მედიაში , ვებგვერდზე.

- **შეხვედრები დარგის სპეციალისტებთან/ექსპერტებთან** -თითოეული სამიზნე სეგმენტისთვის, გარდა სისტემის ტექნიკური შესაძლებლობების გაცნობისა გათვალისწინებულია ზოგადად პროექტის მიზნებიდან გამომდინარე რიოს სამი კონვენვიის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი შეხბედრების გამართვა, ასევე მნიშვნელოვანია სისტემის შინაარსობრივი აღქმადობისთვის კონკრეტული თემატური მიმართულებით მონაცემების არსებობის მნიშვნელობის გააზრება და შესაბამისი დარგის ექსპერტებთან შეხვედრა.

- **სამუშაო ჯგუფი სოციალურ ქსელში** - სამუშაო ჯგუფების სწრაფი და მოქნილი ურთიერთთანამშრომლობისთვის ეფექტური იქნება სოციალურ ქსელში სპეციალური ჯგუფის შექმნა, სადაც სისტემის ინფორმაციის მიმწოდებლები და

მომხმარებლები დასვამენ კითხვებს, გაუზიარებენ გამოცდილებას და შენიშვნებს, რაც საბოლოო ჯამში საინფორმაციო სისტემის დახვეწას შეუწყობს ხელს, ჯგუფი იქნება ერთგვარი სისტემის ტესტერი.

- **მობილური აპლიკაცია** - მნიშვნელოვნად გაადვილებს საინფორმაციო სისტემის ფართო მოხმარების პლატფორმად ჩამოყალიბებას, აპლიკაციის საშუალებით მომხმარებელი მობილური ტელეფონის საშუალებით მიიღებს ყველა იმ სერვისს რომელსაც საინფორმაციო სისტემის ვებ პორტალის საშუალებით მიიღებდა გაივლის ავტორიზაციას , მიიღებს სხვადასხვა გარემოსდაცვით ინდიკატორებზე ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში დაამატებს მონაცემებს

- **რეკომენდაცია საინფორმაციო სისტემის მნიშვნელობის უპირატესობების შესახებ სემინარების ჩატარება სახელმწიფო სტრუქტურებში:**

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა რომ სახელმწიფო უწყებების მენეჯმენტის/თანამშრომლების ინფორმირებულობა საინფრმაციო სისტემის შესახებ დაბალია ან საერთოდ არ არსებობს. საჭიროა სისტემის არსებობის , უპირატესობების და სახელმწიფო მნიშვნელობის შესახებ დამატებითი სწავლებების ჩატარება განსაკუთრებით იმ სახელმწიფო უწყებების მენეჯმენტისთვის რომლებიც წარმოადგენენ საინფორმაციო სისტემის ინფორმაციის ძირითად მიმწოდებლებს.

- **რეკომენდაცია სამთავრობო კომისიის შექმნის თაობაზე**

ინტერვიუების შედეგად ასევე გამოიკვეთა საჭიროება არსებობდეს ოფიციალურად განსაზღვრული წესი/დავალება, რომელიც ტოპ მენეჯმენტის მხრიდან იქნება დელეგირებული საშუალო დონის მენეჯმენტზე. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს შეაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო, დებულებით და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები, საკომუნიკაციო პროცესში შესაძლოა გაჩნდეს შეფერხება და ვერ მოხერხდეს

ძირითადი დავალებების პარალელურად სისტემის შემუშავების პროცესში სრული ჩართულობა სამიზნე ჯგუფების მხრიდან. ტოპ მენეჯმენტიდან დელეგირებული მოთხოვნები უზრუნველყოფთს საკომუნიკაციო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას.

ტოპ მენეჯმენტის შემადგენლობით სასურველია შეიქმნას სპეციალური საბჭო/კომისია, ან სახელმწიფო სისტემაში არსებულმა მსგავსი ტიპის საბჭოებმა შეითავსოს ზემოთაღნიშნული პროცესის მართვის ფუნქცია.

- **ანტიკრიზისული გეგმა**

საინფორმაციო სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელებისას შესაძლებელია გავრცელდეს ნეგატიური ინფორმაცია სისტემის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საკომუნიკაციო კრიზისი.

გამომდინარე აქედან მნიშვნელოვანია წინასწარ მაქსიმალურად განსაზღვრულ იქნას ყველა შესაძლო საინფორმაციო კრიზისის წარმომშობი წყარო და სავარაუდო რეაგირება.

ზოგადად საკომუნიკაციო კრიზისები შესაძლებელია წარმოიშვას შემდგომი წყაროებიდან:

- არასამთავრობო ორგანიზაციები
- სხვადასხვა საჯარო უწყება;
- აკადემიური სექტორი
- მედია საშუალებები;

საინფორმაციო სისტემის შესაძლო კრიზისული სქემები:

- უწყებების ჩართულობის დაბალი დონე ან არ ჩართვა სისტემაში
- სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო მონაცემების ხელმისაწვდომობა სხვადასხვა წყაროდან
- საინფორმაციო სისტემის ტექნიკური შეფერხებები
- ცდომილება მონაცემებში და სხვადასხვა სახის ხარვეზები
- სისტემის რთულად აღქმადობა მისი მრავალფუნქციურობიდან გამომდინარე
- სათანადოდ მომზადებული კადრების არარსებობა

- შესაბამისი კვალიფიკაციის/ფუნქცია-მოვალეობების კადრების არარსებობა უწყებებში

საკომუნიკაციო კრიზისის წარმოშობისას რეკომენდირებულია სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენელმა დროულდ მოახდინოს რეაგირება პრობლემაზე ან/და შექმნილი ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრაზე სწორი მესიჯების გამოყენებით შესაბამისი წყაროების ბრალდებებზე , თითოეულ სამიზნე სეგემნტთან კომუნიკაციის დროს გამოიყენონ შესაბამისი მედიაარხები/საკომუნიკაციო წყარო, ისევე როგორც ძრითადი აქტივობების დროს, რათა დროულად მოხდეს კრიზისზე რეაგირება.

მესიჯები:

- საინფორმაციო სისტემის დანერგვა ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა;
- ხარვეზები სწორდება მუდმივ რეჟიმში;
- სისტემა ახალი დანერგილია და ხარვეზები მოსალოდნელია;
- საინფორმაციო სისტემა ადაპტირებადი იქნება ახალ ტენდეციებთან და მოთხოვნებთან.

➢ **შეფასების კრიტერიუმები**

საინფორმაციო სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგით განსაზღვრული მოქმედებათა გეგმა გაზომვადი და დროში გაწერილია, თითოეული მათგანი მოიცავს კონკრეტულ ინდიკატორებს, რომელთა შესრულებაც საჭიროებს მუდმივ მონიტორინგს შესაბამისი შესრულების შეფასების კრიტერიუმებითა და წინასწარ შემუშავებული მექანიზმებით.

მექანიზმი:

- კვლევა (რაოდენობრივი,თვისებრივი)
- მონიტორინგის და ანგარიშგების მუდმივმომქმედი სისტემის არსებობა
- კომუნიკაციის ინტერნეტ პლატფორმის არსებობა
- შეხვედრების რეგულარული სისტემის არსებობა
- ინფორმაციის გაცვლის მუდმივმოქმედი სისტემის არსებობა
- ინტერნეტ უკუკავშირის სისტემის არსებობა

კრიტერიუმები:

- ინფორმირების სისტემის ანალიზი სამიზნე ჯგუფებში

- კომუნიკაციის განხორციელების შემდეგ გამოხმაურებების ანალიზი საინფორმაციო სისტემის ვებ გვერდზე (გვერდზე შემომსცლელთა რაოდენობა, აქტივობა, საიტზე დაყოვნების დრო);
- კომუნიკაციის განხორციელების შემდეგ გამოხმაურებების ანალიზი საინფორმაციო სისტემის შესახებ მედიაში- გასული სიუჟეტების/სტატიების რაოდენობა და შინაარსი;
- კომუნიკაციის განხორციელების შემდეგ მიღებული კომენტარების რაოდენობა და შინაარსი საინფორმაციო სიტემის შესახებ;
- პროექტის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებზე (კონფერენცია, სემინარი, ტრენინგი) დამსწრეთა რაოდენობის აღნუსხვა.
- სისტემის მომხმარებელთა რაოდენობა
- სისტემაში ჩართული უწყებების რაოდენობა
- გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ სისტემის გამოყენების სიხშირე

საკომუნიკაციო სტრატეგიის აღსრულების პროცესში მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის მიხედვით დაგეგმილი ღონისძიებების მუდმივი მონიტორინგი კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვისთვის, მნიშვნელოვანია მონიტორნიგი განხორციელდეს წელიწადში მინიმუმ ორჯერ, რისკების მაქსიმალური შემცირებისთვის. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების მყისიერი აღმოფხვრა ანდა შესაბამისი ცვლილების შეტანა კომუნიკაციის სტრატეგიასა თუ ტაქტიკაში.

გამოყენებული დოკუმენტაცია

- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ინტეგრაციისთვის სახელმწიფო უწყებების მანდატების (როლი და პასუხისმგებლობა) ჰარმონიზება
- გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ინტეგრაციისთვის სახელმწიფო უწყებების მანდატების (როლი და პასუხისმგებლობა) ჰარმონიზება
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ გაეროს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ინტეგრაციისთვის სახელმწიფო უწყებების მანდატების (როლი და პასუხისმგებლობა) ჰარმონიზება
- რიოს კონვენციების განხორციელების და ანგარიშგებისთვის საჭირო გარემოსდაცვითი მონაცემების მართვის და მონიტორინგის პროცესში არსებული უწყებათშორისი თანამშრომლობის გამოწვევების და ბარიერების ინსტიტუციური ანალიზი
- გარემოს საინფორმაციო სისტემის/ცოდნის მართვის სისტემის კონცეფცია
- გარემოს საინფორმაციო სისტემის/ცოდნის მართვის სისტემის მასშტაბირებადი ინფრასტრუქტურა
- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციის ანგარიშის მოსამზადებლად და მისი მონიტორინგისთვის საჭირო მონაცემთა ბაზების ანალიზი
- ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგებისათვის საჭირო მონაცემების ანალიზი
- მონაცემები და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა გაუდაბნოების კონვეციის განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგებისთვის[U1] [U2]

- ბიომრავალფეროვნების ზემოქმედებისა და ტენდენციების მონიტორინგის ეროვნული საჭიროებების შეფასება და საჭიროებების შეფასების საფუძველზე მომზადებული ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა
- მიწაზე ზემოქმედების და მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების ტენდენციების მონიტორინგის ეროვნული საჭიროებების შესაფება და საჭიროებების შეფასების საფუძველზე მომზადებული ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა
- კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ტენდენციების მონიტორინგის ეროვნული საჭიროებების შეფასება და საჭიროებების შეფასების საფუძველზე მომზადებული ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა